



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

15

**რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები და
ევროკავშირის დამოკიდებულება**

ნიჟინე კობახიძე



ექსპერტის აზრი

2013



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

იუჯინ კობანი

**რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები და
ევროკავშირის დამოკიდებულება**

15

2013



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2013 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-6280-3

საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიმართ პრეზიდენტ პუტინის პასუხის გადმოცემა ალბათ შესანიშნავად შეიძლება კრილოვის იგავ-არაკის, „მუსიკოსების“, ბუღბუღლის სიტყვების პერიფრაზით. პრეზიდენტმა პუტინმა მკაფიოდ და არა-ორაზროვნად სწორედ იგივე თქვა, რაც ბუღბუღლმა უთხრა კვარტეტს: „რომ იყო მუსიკოსი, საჭიროა გქონდეს უკეთესი სმენა და მეტი გონებრივი მონაცემები და ის, თუ როგორ და სად დადგები, მნიშვნელობა არა აქვს – თქვენ ვერ გახდებით მუსიკოსები“,¹ ანუ, ამ შემთხვევაში – ვერ გახდებით ვერც ნატოს და ვერც ევროკავშირის წევრები და „მე, პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, გავაკეთებ ყველაფერს, რისი ძალაც შემწევს, რომ შევაფერხო თქვენი ყველა მცდელობა ორივე ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად“. ამრიგად, პრეზიდენტ პუტინს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ანმყოც და მომავალიც შემდეგნაირად წარმოუდგენია: საქართველომ ხელი უნდა აიღოს თავის მისწრაფებაზე გაწევრიანდეს ორივე ორგანიზაციაში და უნდა შეურიგდეს რუსეთს პუტინის მიერ შემოთავაზებული პირობებით. და მაინც, საქართველოს 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პუტინმა და მისმა ადმინისტრაციამ გადაწყვიტეს ახლად არჩეული მთავრობისათვის ყველაფრის ახლიდან დაიწყების შანსი მიეცათ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ახალი მთავრობის საერთაშორისო პრიორიტეტები მიხეილ სააკაშვილის პრიორიტეტების მსგავსია და გულისხმობს ევროპულ ინტეგრაციას და ნატოში გაწევრიანებას. ბიძინა ივანიშვილი ხალხს ასევე დაჰპირდა რუსეთთან ურთიერთობების გამოსწორებას, რომ შეეცდებოდა რუსეთი დაერწმუნებინა იმაში, რომ საქართველოს სტრატეგიული მისწრაფებები არ შეიცავდა საფრთხეებს² რუსეთისთვის და რომ რუსეთი შეძლებდა ამ მისწრაფებებთან შეგუებას. საქართველოში 2013 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად შეცვლილი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი, სავარაუდოდ ვერ შეძლებენ შეცვალონ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები. ამასთან, ყოფილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ორმაგი პოლიტიკა, სწრაფვა ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ და რუსეთთან ურთიერთობების გამოსწორება, კვლავაც რჩება ახალი ხელმძღვანელობის დღის წესრიგში.

რუსეთი მიესალმა საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შედეგებს და თქვა, რომ შესაძლებელი გახდა რუსეთ-საქა-

რთველოს 2008 წლის ომით შეწყვეტილი კავშირების განახლება. დიმიტრი პესკოვმა, პუტინის წარმომადგენელმა, განაცხადა: „ჩვენ ნამდვილად მოუთმენლად ველით ახალ, კეთილგანწყობილ, საღად მოაზროვნე ხელმძღვანელობას საქართველოში“. პესკოვმა დასძინა: [ახალი ხელმძღვანელობა] იქნება „ძალიან კარგი და პოზიტიური ჩვენთვის. თუკი მეტ პოლიტიკურ სიბრძნეს გამოიჩინენ, ამ ქვეყნისთვის უამრავი ახალი გზა გაიხსნება“;³ ხოლო თუ ასე არ მოხდება, უამრავი დაბრკოლება შეიქმნება რუსულ-ქართულ გზაზე.

პირველი ნაბიჯი მოსკოვთან გართულებული ურთიერთობის გასაუმჯობესებლად გადაიდგა 2012 წლის 1 ნოემბერს, როცა პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა ზურაბ აბაშიძე დანიშნა თავის სპეციალურ წარმომადგენლად რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში. ივანიშვილმა აგრეთვე განაცხადა: „ჩვენს ქვეყნებს აკავშირებს ხანგრძლივი ისტორია. ჩვენ ერთად ვცხოვრობდით საბჭოთა კავშირის შექმნამდე დიდი ხნით ადრე, ასევე მისი არსებობის განმავლობაში და მისი დაშლის შემდეგაც. ახლა ჩვენ ჯერ უნდა მოვაგვაროთ საქმეები და შემდეგ გადავიდეთ ახალი ტიპის ურთიერთობებზე“.

თუკი ივანიშვილი იმედოვნებდა, რომ მისი ინიციატივა მოსკოვის დადებით რეაქციას გამოიწვევდა, ის *იმედგაცრუებული* დარჩა [ავტორის ხაზგასმა]. ალექსანდრე ლუკაშევიჩი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, ძალიან ფრთხილად გამოეხმაურა აბაშიძის დანიშვნას: „მე მხოლოდ იმას ვიტყვოდი, რომ მას აქ იცნობენ, როგორც ელჩს, რომელიც მუშაობდა ჩემს ქვეყანაში და, ასევე – მისი აქ ჩამოსვლებით; ის პირადად კარგად იცნობს რუსეთს“. როცა თბილისიდან წამოსულმა განცხადებებმა მოსკოვის ყურადღება მიიქცია, ლუკაშევიჩმა განაცხადა: „ჩვენ საქართველოს ახალი მთავრობისგან კონკრეტულ, პრაქტიკულ ნაბიჯებს ველოდებით“.⁴ ლუკაშევიჩმა, როგორც განაფულმა დიპლომატმა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, არ განავრცო, თუ ზუსტად რას ნიშნავდა კონკრეტული და პრაქტიკული ნაბიჯები.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდგომ პირველი საზღვარგარეთული მოგზაურობისას ივანიშვილმა გამოიყენა პრესკონფერენცია ბრიუსელში ევროკომისიის პრეზიდენტ ხოსე მანუელ ბაროზოსთან, რათა გამოეხატა თავისი სინანული მოსკოვის ნელთბილი რეაქციის გამო. ივანიშვილმა განაცხადა: „ჩვენი მთავრობა იმედგაცრუებულია ამ განცხადებების გამო. ჯერ არ

გამოთქმულა შესატყვისი პასუხი მოსკოვიდან. ჩვენ ველოდებით და იმედი გვაქვს, რომ რუსეთის ხელისუფლება გააანალიზებს სიტუაციას და მის შესაბამისად იმოქმედებს“.⁵ იმავე პრესკონფერენციაზე ბაროზომ აღნიშნა: „ჩვენი პარტნიორული ურთიერთობები ისეთ მნიშვნელოვან მეზობელთან, როგორც რუსეთია“ ძალიან მნიშვნელოვანი იყო.⁶ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – თქვენ, საქართველოში, მოსკოვის სურვილებს უნდა დაელოდოთ მოთმინებით და ყურადღებით და არ უნდა მოხვიდეთ ჩვენთან, ბრიუსელში, საჩივლელად. გულს ნუ აიცრუებთ მოსკოვის ნელთბილი რეაქციის გამო, კარგად მოიქეცით და ეს დაგიფასდებათ. რაც შეეხება ივანიშვილის იმედგაცრუებას მოსკოვის გამო, ეს მიუთითებს იმაზე, რომ მას არ ესმის პუტინის პოლიტიკა კონკრეტულად საქართველოს მიმართ და ზოგადად სამხრეთ კავკასიის მიმართ. შესაძლოა ივანიშვილი კარგად იცნობს რუსული ბიზნესელიტის ქცევას და მენტალობას, მაგრამ მისთვის ნაკლებად ნაცნობია რუსი პოლიტიკოსების სამყარო.

რაც შეეხება კონკრეტულ და პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომელსაც მოსკოვი მოელის საქართველოს ახალი მთავრობისგან, სავარაუდოდ უნდა გულისხმობდეს იმ რიტორიკის შერბილებას, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს სწრაფვასთან ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებისაკენ; ამ მიზნებს უნდა მოჰყვეს სერიოზული ფიქრი ურთიერთობების გაუმჯობესებაზე რუსეთთან – როგორც უდიდეს მეზობელთან და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ღვინის, მინერალური წყლის და ლუდის ბაზართან. თბილისის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ავტომატურად არ მოჰყვება მოსკოვის შესაბამისი ქმედებები. ურთიერთქმედების ეს შეფარული განსხვავება მკაფიოდ არ გამოუთქვამს ლუკაშევიჩს, თუმცა ამაზე მინიშნება ტექსტში იყო. როგორც ჩანს, ყოფილმა პრემიერმა ივანიშვილმა ვერ გაიგო ეს მინიშნება – „მეცით კეისარს კეისარისა“. როგორც ჩანს, საქართველოს ახლად არჩეულ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს, არ ესმის, რომ რუსეთი არ არის თანაბარი პარტნიორი, რადგან მაშინ არ იტყოდა, რომ „ჩვენ საქართველოში ავანყობთ რუსეთთან ურთიერთობებს თანაბარ და პოზიტიურ საფუძველზე და ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმულია“.⁷

როგორც ჩანს, გარკვეული დროის შემდეგ საქართველოს ახალმა ხელმძღვანელობამ, რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების კეთილი განზრახვის მიუხედავად, გააღიზიანა კრემ-

ლი. საპასუხო მოქმედების ნაცვლად, რუსეთის ხელმძღვანელობამ გადანყვიტა დაეჩქარებინა მცოცავი ოკუპაცია სამხრეთ ოსეთის დაკარგულ ქართულ ტერიტორიაზე. ეს პრობლემა ფართოდ და ღიად გაშუქდა პრესაში.

როგორც ეს ჩვენთვის დღეისათვის არის ცნობილი, მცოცავი ოკუპაციის პოლიტიკა დაიწყო 2009⁸ წელს და განსაკუთრებით დაჩქარდა 2013 წლის ივნისსა და ოქტომბერში.⁹ მცოცავი ოკუპაციის სიმძაფრის შერბილების მიზნით ვლადიმერ პუტინმა ოფიციალური განცხადება გააკეთა 2013 წლის 11 ივნისის ინტერვიუში სოფო შევარდნაძესთან, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის შვილიშვილთან. პირველ რიგში, პუტინმა დაადასტურა ორი „წითელი ხაზის“ არსებობა, რომლის გადალახვა არც ერთ მხარეს არ შეუძლია: რუსეთის მიერ აღიარებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პირისპირ. მან დაამატა, რომ მას „ვერ წარმოედგინა“ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების უკან წაღება, მაგრამ ასევე აღიარა, რომ საქართველო „იბრძვის, როგორც ამას თბილისი უწოდებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის“. როგორც პუტინმა აღნიშნა, სათანადო მიდგომა „მოითხოვს ყურადღებით განხილვას, კომპეტენტური გადანყვეტილების მიღებას და სურვილს, რომ ეს პრობლემა გადანყდეს ყველა იმ ადამიანის ინტერესების საფუძველზე, ვინც ამ ტერიტორიებზე ცხოვრობს“. ამგვარად, პუტინი თითქოს სვამს თანაბარი დისტანციის საკითხს ან, ყოველი შემთხვევისთვის, აღვიძებს ამის იმედს თბილისში; აშკარაა, რომ ის არაფერს არ გამოორიცხავს. ყველაფერზე შეიძლება შეთანხმება. პუტინი ცდილობს გაატაროს აზრი, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საბოლოო სტატუსი არ არის დახურული საკითხი და, სავარაუდოდ, შესაძლოა მომავალში გაიხსნას. იგი გარეგნულად ცდილობს პრობლემის ოპტიმალურ ან საბოლოო გადაჭრასთან დაკავშირებით სკეპტიკოსად წარმოჩინდეს. მთელი თავისი ბუნდოვანებით და ორაზროვნებით პუტინის ინტერვიუ წარმოადგენს უპრეცედენტო წინადადებას თბილისისთვის. იმის მინიშნებით, რომ ყველაფერზე შეიძლება მოლაპარაკება, მოსკოვი თითქოს უბიძგებს თბილისს თავის მიზნებს შორის აირჩიოს [ავტორის ხაზგასმა] ერთ-ერთი: ერთი მხრივ, ეს არის დასავლურ ორიენტაციასთან, ნატოსა და ევროკავშირთან დაკავშირებული მიზნები და, მეორე მხრივ, დაარეგულიროს ურთიერთობები რუსეთთან და აღადგინოს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა რაიმე ახალი

ფორმით, მოლაპარაკებების საშუალებით, რაც მოითხოვს რუსეთთან თანამშრომლობას,¹⁰ ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთის უსიტყვო მორჩილებას. იმ დროს, როდესაც სოკორის სტატია გამოქვეყნდა, ივანიშვილის მთავრობა ჯერ კიდევ ცდილობდა შეენარჩუნებინა ის ორი მიზანი და არ გაეკეთებინა არჩევანი რომელიმე მათგანზე. ჯოშუა კუცერას ბოლო სტატიის მიხედვით, კრემლს თითქოს გაუჭირდა გაეგო, რომ ნატოში განეწინაურება, ფაქტობრივად, იყო მიზანი, რომელსაც იზიარებდა საქართველოს პოლიტიკური კლასის დიდი ნაწილი [ავტორის ხაზგასმა]¹¹ და არა უბრალოდ საქართველოს მოსახლეობა. ამ შეგნების მიუხედავად, ვლადიმერ პუტინის კონფრონტაციული მიდგომა არ შეცვლილა. როგორც ცნობილია, პუტინს არ უყვარს, როცა ასულელებენ.

აქამდე რუსეთის ტექნიკამ მცოცავი ოკუპაციისა თავი შეიკავა მასიური პროვოკაციისგან, რასაც სხვა შემთხვევაში შესაძლოა იძულებული გაეხადა საქართველო და დასავლეთი პასუხი გაეცათ მისთვის. სამაგიეროდ, მცოცავი მიდგომა თითქოსადა უადვილებს საქართველოს მთავრობას (ყოველ შემთხვევაში, მის ნაწილს) და მის დასავლელ პარტნიორებს, რომ იყვნენ პასიურად და პერიოდულად *pro forma*, დაიჩვიონ [ავტორის ხაზგასმა], რასაც არანაირი შედეგი არ მოაქვს.

ადგილზე გამოთქმული სიტყვიერი განცხადებები შედგეს ვერ მოიტანს, თუკი ვაშინგტონი და ბრიუსელი არ ნამონევენ ამ საკითხს პირდაპირ მოსკოვში, მაგრამ მოსკოვი დარწმუნებული ჩანს, რომ ეს არ მოხდება¹² და ამიტომაც დაუბრკოლებლად შეძლებს განაგრძოს მოქმედებებს.

პრემიერ-მინისტრობიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ ივანიშვილმა განაცხადა: „ის, რაც ხდება, კერძოდ, მცოცავი ოკუპაცია, ძალიან უსიამოვნო და გაურკვეველია, რადგან მე ვფიქრობდი, რომ განსხვავებული ტიპის ურთიერთობა ჩამოყალიბდებოდა ახალ მთავრობასა და რუსეთს შორის. ჩვენ ყველანაირად შევეცადეთ სიტუაცია დაგველაგებინა. ეს ჩემთვის გაუგებარია და ჩვენ ახლაც ვცდილობთ გავარკვიოთ, საიდან მოდის ეს ყოველივე“.¹³ ვასილი რუხაძემ მკაფიოდ განმარტა რუსეთის განზრახვა: საოკუპაციო ზოლის მუდმივი გადაწვევით რუსეთი ცდილობს შეინარჩუნოს კონფლიქტის გასაღვივებელი ნაპერწკალი და პრაქტიკულად იწვევს საქართველოს ღია შეჯახებისკენ. როგორც ჩანს, მოსკოვი ფიქრობს, რომ თუკი საჭიროდ მიიჩნევს, შეუძლია გაააქტიუროს ეს კონფლიქტი ნებისმიერ დროს და ჩაითრიოს საქართველო ახალ,

ფართომასშტაბიან, გამანადგურებელ კონფლიქტში, რითიც ის შეარყევს ყველაზე შორეულ ოცნებას გაერთიანებული, სტაბილური და აყვავებული საქართველოს შესახებ.¹⁴ როგორც დევიდ ფილიპსი, კოლუმბიის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა დაცვის კვლევების ინსტიტუტის მშვიდობის დაცვისა და უფლებების პროგრამის დირექტორი ამბობს, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი საქართველო თავიდან აიცილებს აგრესიულ რიტორიკას და კონფრონტაციას რუსეთთან, რაც მის ინტერესებში არ შედის,¹⁵ ისევე შეიძლება საქართველოს პროვოცირება, როგორც ეს მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების წინ და კვლავ ქართული მხარე იქნება დადანაშაულებული და არა რუსეთის პროვოკაციულ-მაპროვოცირებელი საქციელი. ის, თუ რა ისწავლა დასავლეთმა რუსეთის წარმატებული, ბინძური პიარკამპანიის მაგალითებზე, რომლებიც წინ უძღოდა 2008 წლის აგვისტოს ომს, და რა იქნება დასავლეთის რეაქცია შემდეგ ჯერზე, მომავალში გამოჩნდება.

სამწუხაროდ, საქართველოსა და მისი მოსახლეობისთვის ივანიშვილის რწმენა, რომ კრემლთან ურთიერთობები შეიძლება გამოსწორდეს რუსეთისადმი დადებითი ჟესტების გამოხატვით, მაგრამ, ამასთანავე, ევროპული ინტეგრაციისაკენ და ნატოსკენ ლტოლვით, არარეალისტური აღმოჩნდა. პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს საქართველოს ხელმძღვანელობის იძულებას დათმოს თავისი სუვერენობა და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, არათუ შეიცვალა, არამედ უფრო მყარიც გახდა.

რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობისთვის. მართალია, მოსკოვი მუდმივად აცხადებს, რომ ის არის სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი, მაგრამ მისი სამხედრო შენაერთების აქ ყოფნა სინამდვილეში ერთადერთ უდიდეს გამოწვევად რჩება მშვიდობისა და სტაბილურობისთვის არა მარტო საქართველოში, არამედ სამხრეთ კავკასიის მთელ რეგიონში.¹⁶ ეს შეფასება მთლიანად უარყოფილია რუსეთის ოფიციალური პირების მიერ, რომლებიც საპირისპიროს ამტკიცებენ და მოვლენათა განვითარებისა და ომის გაჩაღების მთელ პასუხისმგებლობას საქართველოს აკისრებენ.

იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი რბილად დაელაპარაკება პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის რეჟიმს, რუსეთი დარჩება მთავარ

სამხედრო ძალად სამხრეთ კავკასიაში და პირიქით – თუ რუსეთის სამხედრო ძალები განაგრძობენ რეგიონში გამაგრებას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები კვლავაც მოუგვარებელი დარჩება.¹⁷ ამრიგად, თუკი დასავლეთი განაგრძობს არააქტიური მომლაპარაკებლის როლს საქართველოსა და რუსეთს შორის, საქართველო კვლავაც იქნება მონყვლადი რუსეთის მცოცავი ოკუპაციის მიმართ და დასავლეთისგან კონკრეტული დახმარების ქართველების მოლოდინი უპასუხოდ დარჩება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპისთვის (ან, უფრო სწორად, ევროკავშირისთვის) ივანიშვილის გამარჯვება და რუსეთთან ურთიერთობაში მისი კურსის შეცვლა საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ევროპელი ლიდერები შეჩვეული იყვნენ პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი საგარეო პოლიტიკის პროდასავლურ კურსს, რომელიც მხარს უჭერდა ევროკავშირისა და ნატოს სტრუქტურებში ინტეგრაციას რუსეთთან ურთიერთობების ხარჯზე.

ოფიციალურად [ავტორის ხაზგასმა] ევროკავშირი რუსეთთან დაკავშირებით მხარს უჭერს ყოფილი პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის ახალ პოლიტიკურ კურსს. შტეფან ფულემ, ევროკავშირის გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის კომისარმა, არაერთხელ გაიმეორა, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა გაუმჯობესება ასევე ემსახურებოდა ევროკავშირის ინტერესებს. მაგრამ შინაგანად [ავტორის ხაზგასმა] წევრი სახელმწიფოები შეშფოთებული არიან, რომ შესაძლოა განვითარდეს მეორე „უკრაინის სცენარი“, ანუ საქართველომ შესაძლოა საბოლოოდ შეცვალოს თავისი ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზა რუსეთთან დათმობების ხარჯზე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხებში. აქედან გამომდინარე, საქართველო-რუსეთის დაახლოებას სკეპტიკურად უყურებს ევროკავშირი და მუდმივად ცდილობს, რომ საქართველოს მთავრობამ დაარწმუნოს ის, რომ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება არ მოახდენს ზეგავლენას ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებაზე მოლაპარაკებების მიმდინარეობაზე, რომელსაც, სავარაუდოდ, ხელი უნდა მოეწეროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე 2013 წლის ნოემბრის ბოლოს.

შენელებული ინტერესისა და ორაზროვანი შეხედულებების გათვალისწინებით, საქართველო არ უნდა ელოდოს ევროპისგან რაიმე მნიშვნელოვან მხარდაჭერას რუსეთთან მისი ურთიერთო-

ბების გრძელვადიანი ნორმალიზაციის საკითხში. არც იმის პერსპექტივა ჩანს, რომ ახლო მომავალში ევროპა ინიციატივას გამოიჩინოს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტის მოგვარებაში. საქართველომ თვითონ უნდა გაიაროს ეს გზა და მან ეს უნდა გაიგოს.¹⁸ კერძოდ, უნდა გაკეთდეს არჩევანი – დაბრუნება განახლებულ „საბჭოთა კავშირში“, სვლა ნელთბილი ევროკავშირისკენ, თუკი ევროკავშირი ჯერ კიდევ ახლოსაა, თუ რადაც არ უნდა დაჯდეს, საკუთარი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ჩვენს ამ მტკიცებას მთლიანად უარყოფენ ევროკავშირის ოფიციალური პირები, თუმცა ქართული რეალობა გვიჩვენებს, რომ სამხედრო თვალსაზრისით უძლურმა ევროკავშირმა ბედის ანაბარად მიატოვა საქართველო. ამასთანავე, ევროკავშირს არ სურს რუსეთთან დაპირისპირება საქართველოს მიზეზით და ამის გამო საქართველოს მძიმე მდგომარეობაში ტოვებს. ამას თითქოს აცნობიერებენ საქართველოს ოფიციალური პირები, მაგრამ იმავდროულად არ სურთ ამის აღიარება.

დაბოლოს, საქართველოს მთავრობის მხრიდან არარეალისტური მოლოდინი რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების პოტენციალთან დაკავშირებით ვერ გამართლდა. სამწუხაროდ, დღეს უფრო ადვილია აკრიტიკო პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი და მისი მთავრობა, ვიდრე გააკეთო სალი პოლიტიკური ანალიზი ჩიხიდან გამოსვლის გზების შესახებ. აშკარაა, რომ საქართველოს პოლიტიკური წრეები თავიდანვე შეცდნენ, როცა ივარაუდეს ან, შესაძლოა, წარმოიდგინეს, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების ორმაგი პოლიტიკის განხორციელება შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში, გამოიყენეს ეს მიდგომა, რამაც საბოლოო შედეგი ვერ გამოიღო. როგორც ჩანს, საქართველოს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ვერ განსაზღვრა, რომ ორმაგი პოლიტიკა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი ატარებდა, უპერსპექტივო აღმოჩნდა. სხვა შემთხვევაში, ის არ განიზრახავდა ისეთივე ორმაგი პოლიტიკის გატარებას.¹⁹

ორმაგ პოლიტიკასთან ერთად, რუსეთთან დაკავშირებით ე. წ. პატარა ნაბიჯების პოლიტიკამ, კერძოდ კი, ზურაბ აბაშიძის დანიშვნამ და ამის მომდევნო შეხვედრებმა ზ. აბაშიძესა და გრ. კარასინს შორის, მცირე ცვლილებები გამოიწვია, უფრო ფართო მასშტაბით კი სტაბილურად ჩანს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაუარესება. ამავე დროს ევროკავშირის წარმომადგენლებმა დატოვეს საქართველო ბედის ანაბარად და ფაქ-

ტობრივად თქვეს: „ჩვენ გეხმარებით თქვენ საქართველოში, რომ გააუმჯობესოთ ურთიერთობები რუსეთთან, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ თვით პროცესთან დაკავშირებით. ასე განაგრძეთ და ღმერთმა ხელი მოგიმართოს!“ ამრიგად, საქართველომ კარგად უნდა აწონ-დაწონოს და გააკეთოს სამიდან ერთ-ერთი არჩევანი:

- ა. გაჰყვეს ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის კურსს ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, რადგან ევროპული ოცნება შესაძლოა ვერ ასრულდეს და ნატოში განწვრიანების მიზანი თანდათანობით მინავლულ მოგონებად იქცეს;
- ბ. შეინარჩუნოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა მარტომ, ყველა ფასად, რადგან მეზობელი თურქეთი არ აპირებს საქართველოს მიმართ შეიარაღებული მხარდაჭერა გამოხატოს რუსეთის წინააღმდეგ;

ანდა

- გ. დაწებდეს პუტინის სურვილებს და გახდეს საბაჟო კავშირის და, შესაბამისად, ევრაზიის კავშირის წევრი.

თითოეულ არჩევანს, რომელსაც საქართველოს მთავრობა გადწყვეტს, რომ გააკეთოს, აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც დიდი სიფრთხილით უნდა შეფასდეს. აღარ უნდა განმეორდეს უკანასკნელი 12 თვის მანძილზე მიღებული გაკვეთილები. ერთ რამეს კი უნდა გაესვას ხაზი: დღესდღეობით პუტინსა და მის ადმინისტრაციას არ სურთ მისცენ საქართველოს მთავრობას მოსაფიქრებელი დრო პოლიტიკური არჩევანის გასაკეთებლად. წყალობის პერიოდი დასრულდა. წერტილი დასმულია.

რაც შეეხება რუსეთის მხარეს, „დავიცადოთ და შევხედოთ“-ის პოლიტიკა დასრულდა. პუტინმა მკაფიოდ განაცხადა: „მე არ ვაპირებ ავიტანო საქართველოს მთავრობის სიჯიუტე და ცუდი საქციელი. არ იფიქროთ, რომ კვლავაც შეძლებთ ჩემს მოტყუებას. მცოცავი ოკუპაციის პოლიტიკა გაგრძელდება სრული სვლით და თქვენ, საქართველოში, შეგიძლიათ დაიჩივლოთ იმდენჯერ, რამდენჯერაც მოგიწევთ. თქვენი მხარდამჭერები ევროკავშირიდან კვლავაც მოკრძალებით მოიქცევიან და ფრთხილადაც ილაპარაკებენ. დაბოლოს, გაიხსენეთ ჩემი ინტერვიუ სოფო შევარდნაძესთან და გამოიტანეთ სწორი დასკვნა. არჩევანი თქვენს ხელშია. თუ თქვენ აირჩევთ მართებულ გზას, ეს თქვენთვის იქნება სასიკეთო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგზე პასუხისმგებლობა თქვენვე დაგეკისრებათ.“

გამოყენებული წყაროები

1. იგავი სრულად იხ.: www.elfinspell.com/WitandHumor/14Krylov.html.
2. სრულად იხ.: www.theguardian.com/world/2012/oct/02/georgia-president-saakashvili-election-defeat. საინტერესო ანალიზისთვის, თუ რატომ არ აქვს ივანიშვილს შანსი დაარწმუნოს რუსეთი, რომ საქართველოს ნატოში განწევრიანება არ წარმოადგენს საფრთხეს რუსეთისთვის, იხ.: “Georgia’s Post-Election: Challenges and Priorities” in Center for Strategic and International Studies (CSIS) *Policy Brief Number Two* (November 2012) იხ. ვებგვერდზე: http://csis.org/files/publication/121106_US-Georgia_Policy_Brief_Bugajski.pdf; გვ.5
3. იხ.: www.theguardian.com/world/2012/oct/02/georgia-president-saakashvili-election-defeat. გამოქვეყნდა პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის მსგავსი განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ კრემლის პოლიტიკური პარტია „მზად იყო დიალოგისთვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მომავლის შესახებ“. აღექვეი მალაშენკო მოსკოვის კარნეგის ცენტრიდან უფრო ფრთხილი აღმოჩნდა. მან განაცხადა: „ეს კავშირები დროებით შერბილდება, გამოჩნდება გაუმჯობესების პერსპექტივა, მაგრამ საელჩოების გაცვლა ჯერჯერობით შეუძლებელია“. სრული სტატია იხ.: <http://bigstory.ap.org/article/early-vote-count-georgia-puts-opposition-ahead> ნანახია 2 ოქტომბერს, 2012. მოსკოვის ბევრ სხვა რეაგირებაზე და კრემლის დაბნეულ მდგომარეობაზე, იხ.: Pavel Felgenhauer, “Russian Policy in Georgia in a State of Flux” in *The Jamestown Foundation, Eurasia Daily Monitor*, vol. 9, issue 181 online იხ.: www.jamestown.org/programs/edm/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=39928&tx_ttnews%5BbackPid%5D=587&no_cache=1#.UIJ2ADJ-HJDQ – online on 4 October 2012.
4. სტატია სრულად იხ.: Nana Kurashvili, “Georgia’s New Leaders Seek Fresh Start with Russia” in *Institute for War and Peace Reporting (IWPR), CRS* issue 665 იხ.: <http://iwpr.net/report-news/georgias-new-leaders-seek-fresh-start-russia> ნანახია 2012 წლის 16 ნოემბერს. აგრეთვე იხ.: http://georgianpeoples.com/print.php?lang=eng&news_id=7218 ნანახია 2012 წლის 12 ნოემბერს. ზურაბ აბაშიძის მიერ გადადგმული ნაბიჯი გულისხმობს მოლაპარაკებებს გრიგორი კარასინთან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ვაჭრობის, ტრანსპორტის, კულტურის, ტურიზმისა და ჯანდაცვის საკითხებზე.
5. ნანა ყურაშვილის დასახ. სტატია. ივანიშვილი ბრიუსელს 2012 წლის 11-14 ნოემბერს ეწვია.
6. იხ.: http://georgianpeoples.com/print.php?lang=eng&news_id=7218, ნანახია 2012 წლის 12 ნოემბერს.

7. სტატია სრულად იხ.: www.trend.az/regions/scaucasus/georgia/2205531.html
8. როგორც აბაშიძე ამბობს, „ისინი [რუსები] ამბობენ, რომ საზღვრის გავლება [უფრო სწორად, მცოცავი ოკუპაცია] 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგია; საზღვრის გავლება დაიწყო 2009 წელს და ამ მიზნით ბიუჯეტიდან მოზიდულ იქნა სახსრები, რასაც მოჰყვა ამ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების ხელმოწერა და, ამგვარად, ჩვენ ვეხმარებით მათ სასაზღვრო ინფრასტრუქტურის განვითარებაში“. სრული სტატია იხ.: www.civil.ge/eng/article.php?id=26497, ნანახია 2013 წლის 27 სექტემბერს. იხ. აგრეთვე: Molly Corso, “Georgia: Tbilisi Bracing for Russian Pressure” in *Eurasianet.org* online at www.eurasianet.org/node/67629 აბაშიძის რიტორიკა ეწინააღმდეგება ადრე გამოქვეყნებულ ინფორმაციას; კერძოდ, მავთულხლართების გავლება *პირველად დაიწყო* [ავტორის ხაზგასმა] რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო დაცვის ჯარების მიერ 2011 წლის აპრილ-მაისში. *Eurasianet.org* online at www.eurasianet.org/node/67629, ნანახია 2013 წლის 4 ივნისს. აბაშიძის გამონათქვამები ასევე ეწინააღმდეგება იმ ინფორმაციას, რომ ლითონის ზღუდეები აღიმართა 2008 წლის აგვისტოს ომიდან ორი წლის შემდეგ. გოგა აფციაური და კლერ ბიგი, „ქართველი სოფლის მოსახლეობა განრისხებულია სამხრეთ ოსეთის საზღვარზე ლობის აღმართვის გამო“, რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება (RFE/RL), ვებგვერდზე: www.rferl.org/content/georgia-russia-ossetia/25131531.html, ნანახია 2013 წლის 9 ოქტომბერი.
9. სრული ვერსია იხ.: www.civil.ge/eng/_print.php?id=26144 – ნანახია 2013 წლის 4 ივნისს. ასევე იხ.: www.izvestia.ru/news/551762 ნანახია 10 ივნისს, 2013; Vladimir Socor, “Putin Hints at Normalization with Georgia on Russian Terms” in *The Jamestown Foundation, Eurasia Daily Monitor*, vol. 10, issue 115 იხ.: www.jamestown.org/programs/edm/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=41033&tx_ttnews%5BbackPid%5D=685&no_cache=1#.UIQTI9JHJDQ – ნანახია 18 ივნისს, 2013. www.civil.ge/eng/_print.php?id=26462 – ნანახია 2013 წლის 17 სექტემბერი; Elizabeth Owen, “Georgia: Fence-Fight Continues with Russia, Separatists” in *Eurasianet.org* იხ.: www.eurasianet.org/print/67518 ნანახია 18 სექტემბერს, 2013; Vasili Rukhadze, “Russia Gradually Expands its Occupation Zone in Georgia” in *The Jamestown Foundation, Eurasia Daily Monitor*, vol. 10, issue 168, იხ.: www.jamestown.org/programs/edm/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=41396&tx_ttnews%5BbackPid%5D=685&no_cache=1#.UIV-1VtJHJDQ – ნანახია 23 სექტემბერს, 2013.
10. ვლადიმირ სოკორი, დასახ. ნაშრომი. სერგეი ლავროვმა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ძალიან დიპლომატიური და ძალიან ორაზროვანი განცხადება გააკეთა: „მოსკოვი იმედოვნებს, რომ ივანიშვილის შემდგომი ხანის ახალი ქართველი ადმინისტრაცია გაჰყვება რუ-

სეთისადმი მეგობრულად განწყობილ პოლიტიკას.” სრული სტატია იხილეთ ვებგვერდზე: www.rferl.org/content/georgia-election-osce-margvelashvili/25150602.html, ონლაინ 2013 წლის 28 ოქტომბერი. საქართველოს რუსეთისადმი მეგობრულმა პოლიტიკამ შეაღწია კრემლის კედლებში, მაშინ როცა კრემლი არ აპირებდა საქართველოსადმი მეგობრული პოლიტიკის არჩევას. რუსეთის სიტყვები არ აისახებოდა მის ქმედებებზე.

11. სრული სტატია იხ.: Joshua Kucera, “Georgian NATO Ambitions Annoy Russia, even under Ivanishvili” in *Eurasianet.org*, ვებგვერდზე: www.eurasianet.org/node/67536 ნანახია 23 სექტემბერს, 2013. - online on 23 September 2013.

12. Vladimir Socor, “Russia Accelerates ‘Borderization’ in Georgia on War’s 20th Anniversary” in *The Jamestown Foundation, Eurasia Daily Monitor*, vol. 10, issue 175 იხ.: www.jamestown.org/programs/edm/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=41437&tx_ttnews%5BbackPid%5D=685&no_cache=1#.UlaU9d-JHLvU – online on 2 October 2013. Hereafter cited as Vladimir Socor, “Russia Accelerates.”

13. Zaza Jgharkava, “What Exactly does Russia Want Anyway?”, *Georgia Today*, 682, 20-26 სექტემბერი, 2013 იხ.: www.georgiatoday.ge/article_details.php?id=11474. ბოლო სტატიაში ბიძინა ივანიშვილმა გაიმეორა ეს: „ის აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ ჩვენ ჩვენი საქციელით დავებმარებით [ავტორის ხაზგასმა] რუსეთის სახელმწიფოს გაიგოს [ავტორის ხაზგასმა], რომ ამჟამინდელი სიტუაცია, მავთულხლართების ღობეების აღმართვა, პირდაპირ აზიანებს მის იმიჯს. სრული სტატია იხილეთ: www.interpressnews.ge/en/politicss/51264-bidzina-ivanishvili--building-barbed-wire-fences-directly-damages-russias-image.html?ar=A, ნანახია 22 ოქტომბერს, 2013. საქართველოს მთავრობა შეშინებული და დაბნეული ჩანს ამ სიტუაციით. სრული სტატია იხილეთ: ვლადიმირ სოკორი, “რუსეთი აჩქარებს”. საქართველოს ხელმძღვანელობაში საზღვრის გავლების პრობლემის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაზე იხილეთ: გოგა აფციაური და კლერ ბიგი, “საქართველოს სოფლის მოსახლეობა.” წრეინტეგრაციის მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, “რუსეთის ქმედებებს საქართველო დასავლეთისკენ მიჰყავს.” www.izvestia.ru/news/557162, ნანახია 10 ივნისს, 2013.

14. “Russia Gradually”, აგრეთვე იხ. Maia Edilashvili, “Phillips: Moscow’s Problem is Georgia’s Sovereignty”, *Georgia Today*, 685: www.georgiatoday.ge/article_details.php?id=11550 – ონლაინ 11 -17 ოქტომბერი, 2013.

15. იქვე.

16. Vasili Rukhadze, “Russia Underscores its Military Presence in Georgia’s Breakaway Republics” in *The Jamestown Foundation, Eurasia Daily Monitor*, vol. 10, issue 101, იხ.: www.jamestown.org/programs/edm/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=41437&tx_ttnews%5BbackPid%5D=685&no_cache=1#.UlaU9d-JHLvU

news%5D=40952&tx_ttnews%5BbackPid%5D=685&no_cache=1#.Uk_xlXJHJDQ ნანახია 29 მაისს, 2013.

17. იქვე.

18. იხილეთ კარგად ჩამოყალიბებული და დამაფიქრებელი სტატია: Cecile Druey and Liana Fix, “Don’t Count on Europe” in *Carnegie Moscow Center* online at: www.carnegie.ru/eurasiaoutlook/?fa=52552 ნანახია 1 აგვისტოს, 2013.

19. იხ.: www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=29535&lang=eng ნანახი, 31 ოქტომბერს, 2013.